აშკარა წუნი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 10 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 0:1 (0:1).

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ძოძუაშვილი, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი (კუტივაძე), გ. ნოდია, მესხი (ქიქავა).

“ლოკომოტივი”: ფროლოვი, ჟიტკუსი, როდიონოვი, ზაიცევი, დიკარევი, უსატორე, ცეიტინი (ერიომინი), კოხი, ატამალიანი, პეტროვი, ორეშნიკოვი (ბასალაევი).

მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).

1 ქულა 4 შესაძლებლიდან! ასეთი მარცხიანი სტარტი აიღო შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა - თბილისის “დინამომ” საიუბილეო ჩემპიონატში. დანაკარგი საკმარისზე მეტია, მაგრამ იგი გაცილებით მეტი იქნება, თუ ჩვენმა გუნდმა მომავალშიც ისე ითამაშა, როგორც ამ განვლილ ორში.

ჯერ ერთი, შემადგენლობის შესახებ. მოსკოვის “სპარტაკთან” ხურცილავას გამოყვანამ თავდასხმაში ვერავითარი გამართლება ვერ ჰპოვა, ვინაიდან ამ მანევრში სიახლისა და მოულოდნელობის ელემენტი უკვე აღარ იყო, ხოლო ჯერ კიდევ მოუმზადებელმა ფეხბურთელმა პირადი მონაცემების ხარჯზე ვერ შეძლო სპარტაკელთა დაცვის დაძლევა. ამჯერად დინამოელთა ხელმძღვანელობამ ახალი “ექსპერიმენტი” შემოგვთავაზა და ტიპიური მცველი ძოძუაშვილი, რომელიც დაცვის ფლანგზე თამაშს დიდი ხანია შეეთვისა, ნახევარმცველის პოსტზე გამოიყვანა. ეს აშკარა შეცდომა იყო. ძოძუაშვილის მოქმედება შუა მინდორზე ისე ჰგავდა ნახევარმცველის თამაშს, როგორც ხურცილავასი - თავდამსხმელისას.

შემდეგ მატჩის დიდი ნაწილი დინამოელებმა ჩაატარეს ისე, რომ თავდამსხმელები ფაქტიურად პასიური მეთვალყურეების როლში იყვნენ. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას გ. ნოდიას თამაში. ნაკრებში გავლილი წინასასეზონო მზადებისა მას არაფერი ეტყობა. ვერც გავაშელზე ვიტყვით კარგს... ჩვენს გუნდს ძალიან დაეტყო ასათიანის ცუდი თამაში. ასათიანი “სპარტაკთან” და ასათიანი “ლოკომოტივთან” - ეს იყო ცა და დედამიწა.

არც დაცვაში იყო ყველაფერი რიგზე. ამ ხაზის მოთამაშეები უმთავრესად ბურთის მოგერიებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ გადაცემის სიზუსტეზე არავის შეუწუხებია თავი და ამიტომ იყო, რომ მათი ადრესატები უმთავრესად “ლოკომოტივის” მოთამაშეები იყვნენ. გოლიც, რომელიც ატამალიანმა გაიტანა 29-ე წუთზე, შეცდომის შედეგი გახლდათ. მოსკოველები კონტრშეტევაზე 2 კაცის შემადგენლობით იმყოფებოდნენ, ჩვენს დაცვაში კი ოთხივე მოთამაშე საჯარიმო მოედანზე იდგა. “იდგაო” იმიტომ ვამბობთ, რომ მათ კარში ბურთის თავისუფლად დარტყმის საშუალება მისცეს ატამალიანს. გარდა ამისა, ამ მომენტში ურუშაძეც შეცდა.

მეორე ტაიმში დინამოელებმა ვერ შეძლეს გამოეყენებინათ რამდენიმე საუკეთესო მომენტი. ჯერ მეტრეველმა ფეხზე დაუსვა ბურთი ნოდიას, რომელმაც დააგვიანა და ხელში მისცა იგი ფროლოვს. შემდგომში ისევ მეტრეველის გადაცემებიდან ვერ დაამთავრეს კომბინაციები მესხმა და ქიქავამ. მატჩის ბოლო ეპიზოდი იყო ის, რომ კოხმა ახლოდან ძელს მოახვედრა ბურთი.

“დინამომ” გუშინ აშკარა წუნი გვიჩვენა.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 11 აპრილი, 1968 წ.